საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანება №01-76
2017 წლის 12 აპრილი

ქ. თბილისი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების თაობაზე

,,საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის №206 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს:

ა) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესი (დანართი №1);

ბ) განაცხადი სტაჟირების გავლის შესახებ (დანართი №2);

გ) განაცხადი სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ (დანართი №3);

დ) სტაჟიორის შეფასების ფორმა (დანართი №4);

ე) სერთიფიკატის ფორმა (დანართი №5).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2008 წლის 28 ნოემბრის №183 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საგარეო საქმეთა მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **დავით ჯალაღანია**

დანართი №1

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესი

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის რეგულირების სფერო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესი (შემდგომში-წესი) განსაზღვრავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა (შემდგომში - ცენტრალური აპარატი) და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში (შემდგომში - საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფი) სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. სტაჟირების/სასწავლო პრაქტიკის გავლის მიზანი

სამინისტროს სისტემაში სტაჟირების/სასწავლო პრაქტიკის გავლის მიზანია სტაჟიორის/პრაქტიკანტის მომზადების, გადამზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტაჟირება – სამინისტროს სისტემაში ამ წესით რეგულირებადი ანაზღაურების გარეშე საქმიანობა. მინისტრის გადაწყვეტილებით სტაჟირება შესაძლებელია იყოს ანაზღაურებდი, მხოლოდ სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით მიღებული სტაჟიორებისათვის;

ბ) სასწავლო პრაქტიკა - სამინისტროს სისტემაში ამ წესით რეგულირებადი მოკლევადიანი საქმიანობა ანაზღაურების გარეშე;
გ) სტაჟიორი - პირი, რომელიც ამ წესის საფუძველზე გადის სტაჟირებას;

დ) პრაქტიკანტი - პირი, რომელიც ამ წესის საფუძველზე გადის სასწავლო პრაქტიკას;

ე) კანდიდატი - პირი, რომელსაც ამ წესის შესაბამისად, სამინისტროს სისტემაში გაკეთებული აქვს განაცხადი სტაჟირების ან სასწავლო პრაქტიკის შესახებ;

ვ) მენტორი – შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ შერჩეული, მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ წარმართავს და კოორდინაციას უწევს სტაჟიორისა და პრაქტიკანტის საქმიანობას.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 19 მარტის ბრძანება №01-65 - ვებგვერდი,20.03.2018წ.
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2024 წლის 23 სექტემბრის ბრძანება №01-456 - ვებგვერდი,25.09.2024წ.

მუხლი 4. სტაჟიორად და პრაქტიკანტად მიღება

1. სტაჟიორად მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, არის უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის აკრედიტებული პროგრამის დამამთავრებელი კურსის ან სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ან კურსდამთავრებული და ამ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან გასული არ არის ორ წელიწადზე მეტი და აკმაყოფილებს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

2. სტაჟიორთა მიღება წარმოებს ამ წესით განსაზღვრული სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის ფორმით.

3. განსაკუთრებულ შემთხვევაში, მინისტრის/საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე, პირი სტაჟიორად მიიღება უკონკურსოდ.

4. პრაქტიკანტად მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და არის:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის აკრედიტებული პროგრამის მე-2, მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტი/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტია;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი.

5. პრაქტიკანტთა მიღება წარმოებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მომართვის საფუძველზე.

6. პირი, რომელიც სწავლობს საზღვარგარეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პრაქტიკანტად მიიღება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მომართვის ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის საფუძველზე.

მუხლი 5. სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის კანდიდატის მიერ წარსადგენი დოკუმენტები

1. ცენტრალურ აპარატში სტაჟირების გავლის კანდიდატის მიერ წარსადგენი დოკუმენტები:

ა) განაცხადი სტაჟირების გავლის შესახებ (დანართი №2);

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) დიპლომის ასლი/ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან/საზღვარგარეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი; ე) ერთი ფოტოსურათი (3X4);

ვ) სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა; ზ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;

2. საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფში სტაჟირების გავლის კანდიდატის მიერ წარსადგენი დოკუმენტები:

ა) განაცხადი სტაჟირების გავლის შესახებ (დანართი №2);

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) დიპლომის ასლი/ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან/საზღვარგარეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი;

დ) პასპორტის ასლი;

ე) ადგილსამყოფელ ქვეყანაში კანონიერად ყოფნის (ცხოვრების) დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მოქმედების ვადა აღემატება სტაჟირების გავლის პერიოდს;

ვ) ერთი ფოტოსურათი (3X4).

ზ) ნასამართლობის შესახებ ცნობა.

3. ცენტრალურ აპარატში სასწავლო პრაქტიკის გავლის კანდიდატის მიერ წარსადგენი დოკუმენტები:

ა) შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მომართვა საგარეო საქმეთა მინისტრის (შემდგომში-მინისტრი) სახელზე/საზღვარგარეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი;

ბ) განაცხადი სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ (დანართი №3);

გ) ავტობიოგრაფია;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი; ე) ერთი ფოტოსურათი (3X4).

4. საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფში სასწავლო პრაქტიკის კანდიდატის მიერ წარსადგენი დოკუმენტები:

ა) შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მომართვა/შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი;

ბ) განაცხადი სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ (დანართი №3);

გ) ავტობიოგრაფია;

დ) პასპორტის ასლი;

ე) ადგილსამყოფელ ქვეყანაში კანონიერად ყოფნის (ცხოვრების) დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მოქმედების ვადა აღემატება სასწავლო პრაქტიკის გავლის პერიოდს;

ვ) ერთი ფოტოსურათი (3X4).

თავი II

სტაჟიორთა შესარჩევი კომისია, სტაჟიორთა კონკურსი, სტჟიორთა დანიშვნა, პრაქტიკანტთა მიღება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 19 მარტის ბრძანება №01-65 - ვებგვერდი,20.03.2018წ.
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2024 წლის 23 სექტემბრის ბრძანება №01-456 - ვებგვერდი,25.09.2024წ.

მუხლი 6. სტაჟიორთა შესარჩევი კომისია

1. სტაჟიორთა შერჩევის მიზნით, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში/საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფში იქმნება სტაჟიორთა შესარჩევი კომისია (შემდგომში - კომისია) მინისტრის/საზღვარგარეთ სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება კომისიის შემადგენლობა და წევრთა რაოდენობა.

2. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის წევრებისაგან.

3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

4. კომისიას ჰყავს მდივანი, რომელიც აგვარებს სტაჟიორთა კონკურსთან (შემდგომში – კონკურსი) დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს, ადგენს კომისიის სხდომათა ოქმებს, აწარმოებს საჭირო დოკუმენტაციას. კომისიის მდივანს არ აქვს ხმის უფლება.

5. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის დამსწრე წევრები და კომისიის მდივანი.

8. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც აღინიშნება ოქმში.

9. კომისია ყოველი კონკურსის ჩატარებისას იღებს გადაწყვეტილებას სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის თემატიკის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, განათლების მიმართულებების, აკადემიური მოსწრების, კონკურსის ეტაპებისა და ტესტის გადალახვისათვის საჭირო მინიმალური ზღვრული ქულის განსაზღვრის შესახებ.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით კომისიის გადაწყვეტილება აისახება შესაბამის ოქმში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 19 მარტის ბრძანება №01-65 - ვებგვერდი,20.03.2018წ.
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2024 წლის 23 სექტემბრის ბრძანება №01-456 - ვებგვერდი,25.09.2024წ.

მუხლი 7. კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადება

1. სამინისტროში/საზღვარგარეთ სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფში სტაჟიორთა შესარჩევი

კონკურსი ცხადდება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის, სამინისტროს ვებგვერდის და/ან სხვა მსგავსი ტიპის ალტერნატიული საშუალებით.

2. კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა)(ამოღებულია - 19.03.2018, №01-65);

ბ) მონაცემებს კონკურსის თემატიკის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, განათლების მიმართულებების, აკადემიური მოსწრებისა და კონკურსის ჩატარების ეტაპების შესახებ;

გ) ინფორმაციას მისაღებ სტაჟიორთა რაოდენობის შესახებ, რომელსაც განსაზღვრავს მინისტრი/საზღვარგარეთ სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელი;

დ) ინფორმაციას სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველი პირის მიერ განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის, ასევე რეგისტრაციის ვადებთან დაკავშირებით.

3. კომისიის გადაწყვეტილებით, დასაშვებია კონკურსის ჩატარების შესახებ სხვა სახის ინფორმაციის გამოქვეყნებაც.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 19 მარტის ბრძანება №01-65 - ვებგვერდი,20.03.2018წ.
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2019 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №01-232 - ვებგვერდი,29.11.2019წ.
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2024 წლის 23 სექტემბრის ბრძანება №01-456 - ვებგვერდი,25.09.2024წ.
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2025 წლის 11 აგვისტოსს ბრძანება №01-700 - ვებგვერდი, 12.08.2025წ.

მუხლი 8. განაცხადი კონკურსზე

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, სტაჟირების გავლის მსურველმა პირმა განაცხადი უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის/სამინისტროს ვებ-გვერდის/ელექტრონული ფოსტის/მატერიალური ფორმით და/ან სხვა მსგავსი ტიპის ალტერნატიული საშუალებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2025 წლის 11 აგვისტოსს ბრძანება №01-700 - ვებგვერდი, 12.08.2025წ.

მუხლი 9. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

ა) განაცხადის გადარჩევა;

ბ) ტესტირება; გ) გასაუბრება.

2. კონკურსის ეტაპებთან დაკავშირებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს კომისია, რაც აისახება შესაბამის ოქმში.

მუხლი 10. კონკურსის საორგანიზაციო საკითხები

1. ცენტრალურ აპარატში სტაჟიორთა მიღების პროცედურებსა და სტაჟირების გავლას საერთო კოორდინაციას უწევს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა, ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის დირექტორატის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი (შემდგომში – ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი), ხოლო საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფებში შესაბამისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული თანამდებობის პირი (შემდგომში – უფლებამოსილი თანამდებობის პირი).

2. სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველ პირთა მიერ დოკუმენტაციის წარდგენა და რეგისტრაცია წარმოებს კონკურსის გამოცხადებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი/უფლებამოსილი თანამდებობის პირი აგვარებს კონკურსის საორგანიზაციო საკითხებს, მათ შორის, უზრუნველყოფს სტაჟირების გავლის მსურველთა

განცხადებების გადარჩევას (წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემოწმებას) და ორგანიზებას უწევს ტესტირების (თუ კონკურსი მოიცავს ტესტირების ეტაპს) და გასაუბრების ჩატარებას.

4. ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით კომისია მინისტრს/საზღვარგარეთ სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელს წარუდგენს იმ კანდიდატთა მონაცემებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს კონკურსი.

5. ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში:

ა) კომისიის მიერ წარდგენილი სტაჟირების კანდიდატებიდან საუკეთესო შედეგების მქონე პირებს მინისტრი სტაჟიორებად ნიშნავს ბრძანებით, რომელშიც მიეთითება ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც დაინიშნება სტაჟიორი.

ბ) კომისიის მიერ წარდგენილი სტაჟირების კანდიდატებიდან საუკეთესო შედეგების მქონე პირებს, სამინისტროსთან შეთანხმებით, სტაჟიორებად ნიშნავს საზღვარგარეთ სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ბრძანებით.

6. კომისიის წარდგინების საფუძველზე, პირის სტაჟიორად დანიშვნის უფლებამოსილება შესაძლებელია მინისტრის სამართლებრივი აქტით დელეგირებული იქნას მინისტრის მოადგილეზე.

7. ცენტრალურ აპარატში სტაჟირების გავლის კანდიდატი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილია სტაჟიორად დასანიშნად, სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს წარუდგენს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

8. საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფში სტაჟირების გავლის კანდიდატი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილია სტაჟიორად დასანიშნად, უფლებამოსილ თანამდებობის პირს წარუდგენს ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2025 წლის 11 აგვისტოსს ბრძანება №01-700 - ვებგვერდი, 12.08.2025წ.

მუხლი 11. კონკურსის პირობები

1. კონკურსის პირველი ეტაპი უნდა ჩატარდეს კონკურსის გამოცხადებიდან არაუადრეს 10 სამუშაო დღისა, ხოლო ყოველი მომდევნო ეტაპი - წინა ეტაპის დასრულებიდან გონივრულ ვადაში.

2. ტესტირების ეტაპზე არ დაიშვება სტაჟირების გავლის კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს განცხადების გადარჩევის ეტაპს.

3. გასაუბრების ეტაპზე არ დაიშვება სტაჟირების გავლის კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს განცხადების გადარჩევის/ტესტირების (თუ კონკურსი მოიცავს ტესტირების ეტაპს) ეტაპს.

4. გასაუბრება ტარდება სტაჟირების გავლის კანდიდატის სტაჟირების გავლისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის, მოტივაციის, მისი პიროვნული/პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით.

5. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი/უფლებამოსილი თანამდებობის პირი უზრუნველყოფს სტაჟირების გავლის კანდიდატისათვის ინფორმაციის მიწოდებას, კონკურსის თითოეული ეტაპის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ მის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.

6. სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, ხოლო საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფების შემთხვევაში, უფლებამოსილი თანამდებობის პირი, წერილობით ან

ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობებს სტაჟირების გავლის კანდიდატს კომისიის მიერ მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

7. კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება ან კომისიის მიერ ვერ იქნა შერჩეული დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კანდიდატი.

მუხლი 11^1. პრაქტიკანტთა შერჩევა, მიღება

1. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი:

ა) ახორციელებს პრაქტიკანტთა შერჩევას, მიღებასა და შესაბამის დეპარტამენტებში გადანაწილებას კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთებისა და, საჭიროების შემთხვევაში, გასაუბრების საფუძველზე;

ბ) აგვარებს გასაუბრებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს, აწარმოებს საჭირო დოკუმენტაციას.

2. საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფებში შესაბამისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული თანამდებობის პირი (შემდგომში – უფლებამოსილი თანამდებობის პირი):

ა) ახორციელებს პრაქტიკანტთა შერჩევას და მიღებას კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთებისა და, საჭიროების შემთხვევაში, გასაუბრების საფუძველზე;

ბ) აგვარებს გასაუბრებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს, აწარმოებს საჭირო დოკუმენტაციას.

3. ცენტრალურ აპარატში პრაქტიკანტთა მიღების პროცედურებსა და პრაქტიკის გავლას საერთო კოორდინაციას უწევს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, ხოლო საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფებში შესაბამისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

4. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე ან/და ჩატარებული გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი/უფლებამოსილი თანამდებობის პირი მინისტრს/საზღვარგარეთ სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელს წარუდგენს მათ მიერ შერჩეულ კანდიდატთა მონაცემებს.

5. სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, ხოლო საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფების შემთხვევაში, უფლებამოსილი თანამდებობის პირი, წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობებს პრაქტიკის გავლის კანდიდატს მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 19 მარტის ბრძანება №01-65 - ვებგვერდი,20.03.2018წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2019 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №01-232 - ვებგვერდი,29.11.2019წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2025 წლის 11 აგვისტოსს ბრძანება №01-700 - ვებგვერდი, 12.08.2025წ.

მუხლი 12. დავის გადაწყვეტა

დავები, რომლებიც წარმოიშობა კონკურსთან დაკავშირებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი III

სტაჟიორის, პრაქტიკანტისა და სამინისტროს უფლება-მოვალეობები

მუხლი 13. სტაჟიორს და პრაქტიკანტს უფლება

1. სტაჟიორსა და პრაქტიკანტს უფლება აქვთ:

ა) ქვედანაყოფის ხელმძღვანელის თანხმობით გაეცნონ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

ბ) მონაწილეობა მიიღონ იმ საკითხების მომზადებასა და დოკუმენტაციის შედგენაში, რომლებიც სამინისტროს სისტემის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის კომპეტენციას განეკუთვნება;

გ) მენტორის თანხმობით დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ სამინისტროს სისტემის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და შეხვედრებში;

დ) სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ საქართველოში და ადგილსამყოფელ ქვეყანაში გამართულ სემინარებსა და კონფერენციებში;

2. სტაჟიორს უფლება აქვს პირადი განცხადებით მიმართოს მინისტრს/საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფის ხელმძღვანელს სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 19 მარტის ბრძანება №01-65 - ვებგვერდი,20.03.2018წ.

მუხლი 14. სტაჟიორის და პრაქტიკანტის ვალდებულება

სტაჟიორი და პრაქტიკანტი ვალდებულია:

ა) გაეცნონ და იხელმძღვანელონ სამინისტროს მარეგულირებელი კანონმდებლობით;

ბ) დადგენილ ვადაში შეასრულონ მენტორის მიერ მათთვის მიცემული ყველა დავალება;

გ) შეისწავლონ დოკუმენტებზე მუშაობის, შესაბამისი ნოტების და წერილების მომზადების სპეციფიკა;

დ) დაიცვან სამინისტროს შინაგანაწესი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 19 მარტის ბრძანება №01-65 - ვებგვერდი,20.03.2018წ.

მუხლი 14^1. სტაჟიორის შრომის ანაზღაურების წესი

ანაზღაურებადი სტაჟირების შემთხვევაში, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში კონკურსის წესით მიღებული სტაჟიორისათვის შრომის ანაზღაურება ხორციელდება ,,საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 თავით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2024 წლის 23 სექტემბრის ბრძანება №01-456 - ვებგვერდი,25.09.2024წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2025 წლის 11 აგვისტოსს ბრძანება №01-700 - ვებგვერდი, 12.08.2025წ.

მუხლი 15. სამინისტროს მოვალეობები

1. სამინისტრო სტაჟიორსა და პრაქტიკანტს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ- ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად/განსავითარებლად.

2. სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი/საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფში შესაბამისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელი წარუდგენს სტაჟიორს და პრაქტიკანტს მენტორს.

3. მენტორი:

ა) აცნობს სტაჟიორს და პრაქტიკანტს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის სტრუქტურას, საქმიანობის სფეროს, სპეციფიკასა და საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობას;

ბ) უშუალოდ წარმართავს და კოორდინაციას უწევს სტაჟიორისა და პრაქტიკანტის საქმიანობას, აკონტროლებს მათ მიერ ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

გ) კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობს სტაჟიორს და პრაქტიკანტს უფლება-მოვალეობების განხორციელების პროცესში;

დ) სტაჟიორს და პრაქტიკანტს აძლევს შესასრულებელი სამუშაოს მიმართულებას და განუსაზღვრავს ვადას, აწვდის საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

ე) აფასებს სტაჟიორს დანართი N4-ით გათვალისწინებული სტაჟიორის შეფასების ფორმის მიხედვით, რომელსაც კონტრასიგნაციით ამოწმებს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი;

ვ) აწვდის ინფორმაციას ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს/საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფის ხელმძღვანელს სტაჟირების/სასწავლო პრაქტიკის პერიოდში სტაჟიორის/პრაქტიკანტის მიერ საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის თაობაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 19 მარტის ბრძანება №01-65 - ვებგვერდი,20.03.2018წ.

თავი IV

სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის ვადა

მუხლი 16. სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის ხანგრძლივობა

1. სამინისტროს სისტემაში სტაჟირების ვადა განისაზღვრება:

ა) სამინისტროს სისტემაში, გარდა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად მიღებულ სტაჟიორთათვის – 3 თვიდან 6 თვემდე ვადით. 3 თვის გასვლის შემდეგ, სტაჟიორის დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტაჟირების ვადის გაგრძელება შესაძლებელია სამინისტროს ცენტრალურ აპარატში – მინისტრის ბრძანების, ხოლო საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფში – საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე არაუმეტეს 3 თვემდე ვადით;

ბ) ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მიღებულ სტაჟიორთათვის –არანაკლებ ერთი და არაუმეტეს 12 თვისა.

2. სასწავლო პრაქტიკის გავლის ვადა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნის საფუძველზე, სასწავლო პრაქტიკის ვადა შესაძლებელია განისაზღვროს არაუმეტეს 45 კალენდარული დღით.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2024 წლის 23 სექტემბრის ბრძანება №01-456 - ვებგვერდი,25.09.2024წ.

მუხლი 17. სტაჟირების შეწყვეტა

1. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტაჟირების პერიოდში, არასაპატიო მიზეზით, ზედიზედ 5 დღის განმავლობაში გამოუცხადებლობა ან ხშირი არყოფნა, რასაც სისტემატური ხასიათი აქვს;

გ) დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანად შესრულება;

დ) სამინისტროს შინაგანაწესის დარღვევა;

ე) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამინისტროს სისტემაში ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა;

ვ) სამინისტროს სისტემაში შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია;

ზ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა; თ) გარდაცვალება.

2. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი სტაჟიორის მენტორის ან მისი ზემდგომი უფროსის წინადადების საფუძველზე, ხოლო საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფში შესაბამისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელი საკუთარი ინიციატივით ან მენტორის წინადადების საფუძველზე.

3. გადაწყვეტილება სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ ფორმდება მინისტრის/საზღვარგარეთ სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ბრძანებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 19 მარტის ბრძანება №01-65 - ვებგვერდი,20.03.2018წ.

მუხლი 18. სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის დასრულება

1. სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ მენტორი აფასებს სტაჟიორს ამ ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად.

2. სტაჟირების შედეგების დადებითი შეფასების შემთხვევაში, როდესაც საბოლოო შეფასება განისაზღვრება არანაკლებ 22 ქულით, სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი (დანართი №5), რომელსაც ხელს აწერს მინისტრი/საზღვარგარეთ სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელი.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც საბოლოო შეფასება 22 ქულაზე ნაკლებია, სტაჟიორს მისივე მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ცნობა სტაჟირების გავლის შესახებ.

4. სასწავლო პრაქტიკის ვადის გასვლის შემდეგ, მენტორი აძლევს პრაქტიკანტს წერილობით დახასიათებას, რომლის საფუძველზეც ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი/საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფის ხელმძღვანელი გასცემს ცნობას სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 19 მარტის ბრძანება №01-65 - ვებგვერდი,20.03.2018წ.

მუხლი 18[1]. გარდამავალი დებულება

1. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში სამინისტროს მიერ 2020 წლის ნოემბრის თვეში გამოსაცხადებელი სტაჟირების ღია კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით.

2. 2019 წლის დეკემბერში სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გამოცხადებული სტაჟირების ღია კონკურსის ფარგლებში კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატებისათვის, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, სტაჟირების დაწყების თარიღია 2020 წლის 15 ოქტომბერი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანდიდატები სტაჟირებას გაივლიან დისტანციური ორთვიანი პროგრამის შესაბამისად, რომელიც შედგება საორიენტაციო შეხვედრისაგან, თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებისგან.

4. ონლაინ საორიენტაციო შეხვედრას სტაჟიორებთან მართავს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორი, რომელიც აწვდის ინფორმაციას სტაჟიორებს:

ა) სამინისტროს ორგანიზაციული მოწყობის, ძირითადი მისიის, დიპლომატიური სამსახურის მუშაობის სპეციფიკის, ორგანიზაციული კულტურის, სტაჟირების მიზნების, კარიერული და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ;

ბ) სამუშაო ადგილზე გამოცხადების შემთხვევაში პრევენციული ზომების შესახებ, ინფიცირების თავიდან აცილების მიზნით.

5. თეორიული კომპონენტის ფარგლებში:

ა) სტაჟიორები შეძლებენ სსიპ – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინიტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის (შემდგომში – ინსტიტუტი) მიერ სპეციალურად მათთვის მომზადებული სამკვირიანი ონლაინ სასწავლო კურსის გავლას, ასევე ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ონლაინლექციებსა და სემინარებზე დასწრებას;

ბ) სტაჟიორებისთვის ყოველკვირეულად დაიგეგმება ერთსაათიანი დისტანციური შეხვედრა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან, რომლებიც ისაუბრებენ მათი დეპარტამენტების საქმიანობის სპეციფიკაზე, ძირითად ამოცანებსა და პრიორიტეტებზე. აღნიშნული შეხვედრების შემდეგ სტაჟიორებს შესაძლებლობა ექნებათ დასვან კითხვები მათთვის საინტერესო თემებზე.

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეხვედრების ორგანიზებასა და ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ინსტიტუტი.

6. პრაქტიკული კომპონენტის მიზანია სტაჟიორის ჩართვა დეპარტამენტის სამუშაო პროცესში, რაც გულისხმობს შესაბამისი დეპარტამენტის საქმიანობის გაცნობას და კონკრეტული დავალებების როგორც დისტანციურად, ასევე სამუშაო ადგილზე შესრულებას.

7. სტაჟირების ბოლოს, მეორე თვის განმავლობაში მიზანშეწონილია სტაჟიორის საქმიანობის არეალის ეტაპობრივად გაფართოება და უფრო საპასუხისმგებლო დავალებების გაცემა.

8. სტაჟიორის საქმიანობის ზედამხედველობას და საქმიანობის შეფასებას ახორციელებს მენტორი.

9. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში, ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამოსწორების შემთხვევაში, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სტაჟიორები მომდევნო სამი თვე სტაჟირებას გაივლიან ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2020 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №01-176 - ვებგვერდი, 12.10.2020წ.

დანართი №2

განაცხადი სტაჟირების გავლის შესახებ

1.	სახელი, გვარი		ფოტოსურათი
2.	დაბადების ადგილი, თარიღი		
3.	პირადობის მოწმობის ნომერი		
4.	ოჯახური მდგომარეობა		
5.	საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი		

6.	ოჯახის წევრები (დედა, მამა, და, ძმა, მეუღლე, შვილი)		
ნათესაობა	**სახელი, გვარი**	**სამუშაო ადგილი**	**მისამართი**

7.			
როდიდან	**როდემდე**	**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**ფაკულტეტი**

8. ამჟამად სწავლობთ თუ არა, მიუთითეთ სად?

9. სპეციალობა, კვალიფიკაცია (დიპლომის მიხედვით)

სპეციალობა	**კვალიფიკაცია**	**დიპლომის №**

10. რომელ უცხო ენას ფლობთ (სუსტად, საშუალოდ, კარგად, სრულყოფილად)

ენა	**კითხვა**	**საუბარი**	**წერა**

11. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა	
12. სამინისტროს რომელ სტრუქტურულ ქვედანაყოფში გსურთ სტაჟირების გავლა	

13. შრომითი საქმიანობა		
როდიდან-როდემდე	**ორგანიზაციის – დაწესებულების დასახელება**	**თანამდებობა**

14. თანახმა ვარ, რომ განაცხადსა და თანდართულ დოკუმენტებში ჩემს მიერ მითითებული პერსონალური მონაცემები სტაჟირების გავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში გადამოწმებულ იქნეს, გადაეცეს და/ან სხვაგვარად დამუშავდეს საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების/უწყებების მიერ

ხელმოწერა ----------

შევსების თარიღი ----------

დანართი №3

განაცხადი სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ

1.	სახელი, გვარი	
2.	დაბადების ადგილი, თარიღი	
3.	პირადობის მოწმობის ნომერი	
4.	ოჯახური მდგომარეობა	
5.	საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა	

6.	ოჯახის წევრები (დედა, მამა, და, ძმა, მეუღლე, შვილი)		
ნათესაობა	**სახელი, გვარი**	**სამუშაო ადგილი**	**მისამართი**

7.	განათლება		
როდიდან	**როდემდე**	**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**ფაკულტეტი**

სპეციალობა	კვალიფიკაცია

8. მიღებული გაქვთ თუ არა მონაწილეობა სასწავლო პროგრამებში საქართველოში ან უცხოეთში? კი ---------- არა ----------

დადებითი პასუხის შემთხვევაში:

როდიდან	**როდემდე**	**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სასწავლო პროგრამის დასახელება**

9. რომელ უცხო ენას ფლობთ (სუსტად, საშუალოდ, კარგად, სრულყოფილად)

ენა	**კითხვა**	**საუბარი**	**წერა**

10. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა	

11. თანახმა ვარ, რომ განაცხადსა და თანდართულ დოკუმენტებში ჩემ მიერ მითითებული პერსონალური მონაცემები სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში გადამოწმებულ იქნეს, გადაეცეს და/ან სხვაგვარად დამუშავდეს საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების/უწყებების მიერ

ხელმოწერა ----------

შევსების თარიღი ----------

დანართი №4

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 19 მარტის ბრძანება №01-65 - ვებგვერდი,20.03.2018წ.

სტაჟიორის შეფასების ფორმა

დაწესებულება (დასახელება): _____

სტრუქტურული ქვედანაყოფი/ერთეული:

_____

სტაჟიორის სახელი/გვარი: _____

მენტორი: _____

სტაჟირების დაწყების თარიღი: _____

სტაჟირების დასრულების თარიღი:_____

შევსების თარიღი: _____

№	შეფასების კრიტერიუმები	არ ვეთანხმები (1 ქულა)	ნაწილობრივ ვეთანხმები (2 ქულა)	სრულიად ვეთანხმები (3 ქულა)
1	იცავს ორგანიზაციული ქცევის ნორმებს			
2	ფლობს კონკრეტული სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას			
3	დავალებას ასრულებს ხარისხიანად			
4	დავალებას ასრულებს დადგენილ ვადებში			
5	ავლენს დამოუკიდებლად მუშაობის უნარს			
6	ავლენს გუნდურად მუშაობის უნარს			

7	ორიენტირებულია პროფესიულ განვითარებაზე			
8	ავლენს ტექნიკურ უნარ-ჩვევებს			
9	ავლენს კრიტიკული აზროვნების/ანალიზის უნარს			
10	ავლენს ინიციატივის გამოვლენის უნარს			
11	ავლენს კომუნიკაციის უნარს			

ქულა:

_____

დამატებითი კომენტარი/რეკომენდაცია სტაჟიორის შეფასებასთან დაკავშირებით:

მენტორის ხელმოწერა: ---------- სტაჟიორის ხელმოწერა: ----------